ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის ოქმი № 13

22 მაისი , 2018 წელი
16 :00 სთ

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას უძღვებოდა: სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

ანა ლაშხი

გიორგი ბირბიჩაძე

გულია გოცირიძე

კომისიის სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი ინიციატივების საჯარო განხილვას ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბექა დავითულიანი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ შაქარიშვილი, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე-ირაკლი ზარქუა, სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თედო ისაკაძე, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილი.

საკრებულოს წევრები: შალვა ოგბაიძე, ლევან დარახველიძე, ქეთევან ჯოხაძე, ლევან ჯაფარიძე, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წარმომადგენლები.

თინათინ ნიბლოშვილმა დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვამდე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების პროცედურების შესახებ ისაუბრა და განმარტა, რომ 2 მაისს კომისიის მიერ ინიცირებული საკითხები საჯარო განხილვისთვის ოცი დღის განმავლობაში ატვირთული იყო საკრებულოს ვებ გვერდზე და სწორედ დღეს მოხდება ამ საკითხების კიდევ ერთხელ განხილვა საბოლოო გადაწყვეტილებამდე, რომელიც უახლოეს საკრებულოს სხდომაზე უნდა იქნას მიღებული.

კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს და სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და მათ აქტიური ჩართულობისკენ მოუწოდა, რათა ყველამ მიიღოს მონაწილეობა იმ ისტორიული გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც დღეს განსახილველად იქნება წარმოდგენილი. „ამით კიდევ ერთხელ მოხდება დეკლარირება იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) იყო, არის და იქნება ქართული სახელმწიფოებრიობის, თავისუფლების და დემოკრატიული განვითარების მთავარი ფუნდამენტი“ -აღნიშნა თინათინ ნიბლოშვილმა.

დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვარდების რევოლუციის მოედნისთვის პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ცხრა ძმის ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ცხრა ძმის მოედნისთვის ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, მირ ვეზიროვის ქუჩისთვის ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სერგო სურგულაძის ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის ევგენი გეგეჭკორის სახელის მინიჭების შესახებ

6. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ვასილ კიკვიძის ქუჩისთვის და მასთან არსებული I ჩიხისთვის ბენიამინ ჩხიკვიშვილის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ვლადიმერ მიქელაძის ქუჩისთვის ნოე ხომერიკის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, სურენ სპანდარიანის ქუჩისთვის გიორგი ლასხიშვილის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, გრიგოლ მათიაშვილის ქუჩისთვის ელისაბედ ორბელიანის სახელის მინიჭების შესახებ
10. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, თეოდორე აფანასიევის ქუჩის მონაკვეთისთვის ეკატერინე მელიქიშვილის სახელის მინიჭების შესახებ
11. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, თეოდორე აფანასიევის ქუჩის მონაკვეთისთვის ოლღა გურამიშვილი-ნიკოლაძის სახელის მინიჭების შესახებ
12. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მელიტონ ფილიას ქუჩისთვის სიმონ მდივანის სახელის მინიჭების შესახებ
13. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სილიბისტრო თოდრიას ქუჩის მონაკვეთისთვის სამსონ ფირცხალავას სახელის მინიჭების შესახებ
14. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სილიბისტრო თოდრიას ქუჩის მონაკვეთისთვის ალექსანდრე ლომთათიძის სახელის მინიჭების შესახებ
15. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სილიბისტრო თოდრიას ქუჩის მონაკვეთისთვის ვლასა მგელაძის სახელის მინიჭების შესახებ
16. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, აბელ ენუქიძის ქუჩის მონაკვეთისთვის პეტრე სურგულაძის სახელის მინიჭების შესახებ

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი წარმოადგინა:

1. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვარდების რევოლუციის მოედნისთვის პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ „წელს, 26 მაისს დამოუკიდებლობის მოპოვების 100 წლის იუბილეს აღვნიშნავთ, ვფიქრობ მნიშვნელოვანია ამ თარიღის საკადრისად აღნიშვნა, ვინაიდან 1918-1921

წლების რესპუბლიკა ჩვენი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების საფუძველი და უმნიშვნელოვანესი მოვლენაა უახლესი საქართველოს ისტორიაში, ისტორიულ ვითარებათა და სხვა ობიექტურ გარემოებათა გამო კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ვარდების რევოლუციის მოედნისთვის საქართველოს პირველ რესპუბლიკასთან დაკავშირებული სახელწოდების მინიჭება ".

ზემოხსენებული საკითხის განხილვა დებატებით წარიმართა. ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ლევან ხაბეიშვილმა და ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა კომისია ისტორიის წაშლის მცდელობაში და მმართველი პოლიტიკური პარტიის დაკვეთის შესრულებაში კიდევ ერთხელ დაადანაშაულეს. ფრაქცია „ევროპული საქართველო-თბილისის" თავმჯდომარემ გიორგი გაბაშვილმა კი ვარდების მოედნისთვის სახელის გადარქმევის ფაქტს ვიწრო პარტიული და არც თუ ისე გემოვნებიანი პოლიტიკური ნაბიჯი უწოდა. აღნიშნული განცხადებების შემდეგ ოპოზიციის წარმომადგენლება სხდომა დატოვეს.

მიუხედავად კრიტიკული განცხადებებისა, სხდომა საინტერესო მსჯელობის ფონზე წარიმართა. ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის განცხადებით, საკითხი მართლაც მნიშვნელოვანია, ისტორიული გადაწყვეტილებაა მისაღები და პოლიტიკურ დებატებში ჩართვის ნაცვლად საკრებულოს წევრებს და მოწვეულ სტუმრებს საკითხების განხილვაში მაქსიმალური ჩართულობისკენ მოუწოდა.

სხდომაზე მოწვეული სტუმრების მხრიდან ვარდების რევოლუციის მოედნის სახელდების რამდენიმე ვარიანტი გაჟღერდა. ხელოვნებათთმცოდნეობის დოქტორის, პაატა იაკაშვილის განმარტებით, „პირველი რესპუბლიკა იყო წყალგამყოფი ქედი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მაშინ შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული, პარლამენტური სახელმწიფო ჩვენს მრავალათასწლოვან ისტორიაში. იდეა რესპუბლიკის არსებობისა აუცილებლად უნდა ჟღერდეს, ამიტომაც მომხრე ვარ და ვეთანხმები, რომ ვარდების მოედანს დაუბრუნდეს პირველი რესპუბლიკის სახელი".

აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა რუსიკო სტურუა. ზაზა აბაშიძის აზრით, ხსენებულ მოედანს ან პირველი რესპუბლიკის მოედანი უნდა ეწოდოს, ან რესპუბლიკის მოედანი.

საკითხის მნიშვნელობაზე ისაუბრა ოთარ ჯანელიძემ. მურაზ მურვანიძემ კი აბსოლუტურად განსხვავებული პოზიცია გამოთქვა და ხსენებული მოედნისთვის თავისუფლების მოედნის სახელის მინიჭების ინიციატივით გამოვიდა. სალომე ზურაბიშვილმა განმარტა, რომ „26 მაისს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ვზეიმობთ და ლოგიკური იქნება თუ ქალაქის მთავარ მოედანს დამოუკიდებლობის სახელს მივანიჭებთ“.

საკითხის ირგვლივ მოსაზრებები გამოთქვეს საკრებულოს წევრებმაც. ყველამ ერთხმად კიდევ ერთხელ დაუჭირა მხარი აღნიშნულ ინიციატივას. მარიკა დარჩიამ აღნიშნა, რომ ქალაქში არცერთი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და საჭირბოროტო საკითხი არ იქნება განხილული ასევე საზოგადოების ჩართულობის გარეშე და რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, დედაქალაქში აუცილებლად უნდა გვქონდეს რესპუბლიკის მოედანი“. ანალოგიური მოსაზრება იქნა გამოთქმული თამარ ტალიაშვილის მიერ, ხოლო ოთარ გრიგოლიამ და შალვა ოგბაიძემ პირველი რესპუბლიკის სახელის მინიჭებას დაუჭირეს მხარი.

თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი პირველი საკითხის ირგვლივ მოსაზრებები შეაჯამა. „გამომდინარე იქიდან, რომ საკითხის საჯარო განხილვაზე აზრთა სხვადასხვაობა გამოიკვეთა, მიზანშეწონილია შემოთავაზებული ვარიანტების შეჯერება და 23 მაისს კომისიის კიდევ ერთხელ შეკრება, რათა შევთანხმდეთ სახელის საბოლოო ფორმულირებაზე.

გიორგი ტყემალაძემ მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს ჩართულობისთვის და გვერდში დგომისთვის იმ გადაწყვეტილების მიღებაში, რაც აუცილებლად დარჩება ისტორიას. თუ როგორი იქნება ფორმულირება, ამასთან დაკავშირებით სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია კიდევ ერთხელ იმსჯელებს.

გადაწყვიტეს: საჯარო განხილვის მონაწილე სტუმრებმა მხარი დაუჭირეს სახელის ცვლილების იდეას. კომისია შეჯერდა, რომ 23 მაისს კიდევ ერთხელ შეიკრიბება და ინდივიდუალურ რეჟიმში საჯარო განხილვაზე დაფიქსირებული მოსაზრებების გათვალისწინებით იმსჯელებს წარმოდგენილ საკითხებზე.

თინათინ ნიბლოშვილმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 15 საკითხის ირგვლივ ისაუბრა. როგორც სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ დამუშავდა ქალაქში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებები, როგორც ირკვევა ობიექტთა გარკვეული რაოდენობა ამ დრომდე ატარებს საბჭოთა ბოლშევიკურ რეჟიმთან დაკავშირებული ნომენკლატურის სახელწოდებებს, მნიშვნელოვანია, რომ ხსენებული ქუჩების უმრავლესობის სახელწოდებების ცვლილება განხორციელდეს დამოუკიდებლობის მოპოვების ასი წლის იუბილეზე, ასევე სიმბოლურია, რომ ამ ობიექტებს მიენიჭოს საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე ხელმომწერი და საქართველოს ევროპული არჩევანის გულშემატკივარი საზოგადო მოღვაწეების სახელწოდებები.

თინათინ ნიბლოშვილმა მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს, საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისთვის და საინტერესო დისკუსიისთვის.

სხდომის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

სხდომა

22 მაისი , 2018 წელი

N	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1.	თინათინ ნიბლოშვილი	
2.	მარიკა დარჩია	
3.	გიორგი ბირბიჩაძე	
4.	ანა ლაშხი	
5.	გულია გოცირიძე	
6.	თარაშ შურღაია	

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი